დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N4

06.09.2019 წელი ქ.დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 06 სექტემბერს 11 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე; კახა პეტრიაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები;

1: კახა პეტრიაშვილი

2: აზერ ალიევი

3: რამიზ რამაზანოვი

4: ქამრან ხიდიროვი

5. ლევან მოსეშვილი

კომისისის სხდომას ესწრება კომისიის 5 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი
   1. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილი
2. „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი
   2. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. მოისმინეს:

კახა პეტრიაშვილი -1 . „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 01 სექტემბერს ამოქმედდა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნული კანონი ავალდებულება საჯარო დაწესებულებებს ყავდეთ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აქედან გამომდინარე მერიის საშტატო ნუსხას ემატება ერთი შტატი. ასევე დმანისის მერიის ოთხ თანამშრომელს მოემატა რანგი ერთი საფეხურით.

1. **აზრი გამოთქვა: ქამრან ხიდიროვმა**
2. **მოისმინეს:**

კახა პეტრიაშვილი -2. „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 01 სექტემბერს ამოქმედდა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნული კანონი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს ყავდეთ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აქედან გამომდინარე საკრებულოს საშტატო ნუსხას ემატება ერთი შტატი.

2. **აზრი გამოთქვა: ქამრან ხიდიროვმა**

კომისიამ **გადაწყვიტა;** საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე; კახა პეტრიაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი